ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3518723

ნომერი: AR1534652

თარიღი : 22.08.2017

გაცემის თარიღი : 06.09.2017

გაცნობის თარიღი : 06.09.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , რაფაელ აგლაძის ქუჩა , N 32ა / ქალაქი თბილისი , ქუჩა აგლაძე , N 32 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ჭრელაშვილი პ/ნ 60001025905
- თბილისი შინდისი

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ: სამსახურს წარმოდგენილი #2 და #4 ფოტომონტაჟების მიხედვით არ მიაჩნია ფასადზე სარეკლამო აბრების მონტაჟი. სარეკლამო აბრები სესაძლებელია დამონტაჟდეს მხოლოდ #1 და #3 ფოტომონტაჟის მიხედვით, რისთვისაც უნდა დააკორექტიროთ დოკუმენტაცია. ამასთან ვინაიდან სამსახურის მიერ 27.07.2017 წლის №3431937გადაწყვეტილებით გაცემული სამუშაოები არ არის განხორციელებული, საჭიროა დაარეგისტრიროთ ახალი განცხადება, სადაც ნომენკლატურაში უნდა აირჩიოთ აბრებისა და რეკლამების განთავსება - კორექტირება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური მოკლებულია თქვენი განცხადების განხილვის შესაძლებლობას.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.